ცაგერის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საკოორდინაციო საბჭოს

დებულება

მუხლი.1. ზოგადი დებულება.

შ.შ.მ. პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედ სათათბირო ორგანოს , რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შ.შ.მ. პირების ღირსეული თანაცხოვრებისა და თანაცხოვრებისა და თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი პირობების შექმნის საკითხებს.

მუხლი.2

საბჭო ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთახმებით, საქართველოს ორგანული კანონით“ ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსით“,შ.შ.მ. პირთა სოციალური დაცვის შესახებ საქართველოს კანონით,ამ დებულებით და სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი.3 საბჭოს შემადგენლობა

საბჭოს წევრთა შემადგენლობას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის მერი.

საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება 11 წევრისაგან.

ა. საბჭოს ჰყავს თავჯდომარე.

ბ. თავჯდომარის მოადგილე.

გ. საბჭოს მდივანი-რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს საბჭოს თავჯდომარე და არ არის საბჭოს წევრი.

დ. საბჭოს წევრები , რომლებიც წარმოდგენილია შესაბამისი სტრუქტურული ერტეულებისაგან:

1. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.
2. საფინასო -საბიუჯეტო სამსახური.
3. ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური.
4. განათლების ,კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.
5. ადმინისტრაციული სამსახურის ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება.
6. შ.შ.მ პირთა წარმომადგენელი.
7. არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახური.
8. ა(ა)იპ- ახალგაზრდობის ცენტრი „თაკვერი“
9. მერის წარმომადგენელი შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში.
10. მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახური.

მუხლი-4. საბჭოს ამოცანები.

ა-თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაიცვას შ.შ.მ. პირთა უფლებები და არ დაუშვას მათი დისკრიმინაცია.

ბ- ხელი შეუწყოს ამ პირთა ღირსეულ თანაცხოვრებას და ამ მიზნით შეიმუშაოს წინადადებები და დასახოს მათი განხორციელების გზები.

გ- ხელი შეუწყოს შ.შ.მ. პირთა შრომით საგანმანათლებლო , სოციალური და სხვა ხასიათის უფლების რეალიზებას.

მუხლი-5. საბჭოს ფუნქციები

ა. შ.შ.მ. პირთა ბაზის შექმნა, მუდმივი განახლება და დამტკიცება.

გ. საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების , საჯარო დაწესებულებების ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის სათანადო წინადადებების შემუშავება და რეალიზაციის უზრუნველყოფა.

დ. საზოგადოებრივ-სატრანსპორტო საშუალებების , გადაადგილებებისა გადაცემის უზრუნველყოფა .

ე. შ.შ.მ. პირებისათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიღება და დაცემის უზრუნველყოფა.

ვ. სოციალური რეაბილიტაციის უზრუნველყოფა.

ზ. შ.შ.მ. პირებისათვის სპეციალურად შექმნილი პირობებში დასაქმების ხელშეწყობა.

თ. შ.შ.მ. პირთა თანაბარი მონაწილეობის უფლება საზოგადოებრივ- კულტურულ ცხოვრებაში .

ი. სპორტულ და ტურისტული ობიექტების ფიზიკური გარემოს თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მუხლი-6. საბჭოს თავჯდომარე

ა - ხელმძღვანელობს საბჭოს მუშაობას, იწვევს და უძრვება სხდომებს.

ბ - წარმოადგენს საბჭოს და საბჭოს სახელიტ აწარმოებს მიმოწერას.

გ - დავალებებს აძლევს საბჭოს ცალკეულ წევრებს.

დ -ამტკიცებს სხდომის დღის წესრიგს და სამუშაო გეგმას.

მუხლი-7. საბჭოს თავჯდომარის მოადგილე

ა - თავჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ახორციელებს მის უფლება მოვალეობას.

ბ - ასრულებს თავჯდომარის ცალკეულ დავალებებს კანონმდებლობის ფარგლებში.

გ - ასრულებს სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი- 8. საბჭოს მდივანი

ა - საბჭოს მდივანს ირჩევს თავჯდომარე ჯანმრთელობისა და სოციალური სამსახურის წარდგინებით და არ არის კომისიის წევრი.

ბ - პასუხისმგებელია საბჭოს სხდომის ოქმების სწორად და ზუსტად შედგენაზე, სხდომის მასალების შენახვაზე.

გ - საბჭოს წევრებს წარუდგენს განსახილველი საკითხების ჩამონათვალს.

დ - საბჭოზე განსახილველ საკითხთა ჩამონათვალს აწვდის საბჭოს წევრებს.

მუხლი -9. საბჭოს წევრის უფლებები.

1 . საბჭოს წევრს უფლება აქვს:

ა - საბჭოს სხდომაზე წამოაყენოს საკითხები და წინადადებები .მიიღოს მონაწილეობა მათ განხილვაში და კენჭისყრაში.

ბ - საბჭოს გაწყვეტილებით იყოს ოფიციალური წარმომადგენელი

ბ - პირადი განცხადების საფუძველზე უარი თქვას საბჭოს წევრობაზე.

2. საბჭოს წევრი ვალდებულია:

ა - მონაწილეობა მიიღოს საბჭოს სხდომებში და არ გააცდინოს არასაპატიო მიზეზით.

ბ - შეასრულოს საბჭოს დავალებები და დაიცვას ამ დებულებით განსაზღვრული უფლებები.

გ - წამოადგინოს საბჭოს ანგარიში მისთვის დაკისრებული დავალებები შესრულების შესახებ.

3. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია.

ა - არასაპატიო მიზეზით სამჯერ ზედიზედ გაცდენა.

ბ - მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა საბოლოო ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ან გადავიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადა.

გ - სასამართლომ აღიარა ქმედუუნაროდ, დაკარგულად ან გარდაცვლილად.

მუხლი 10. საბჭოს სხდომები უნდა გაიმართოს

ა - სამ თვეში ერთხელ.

ბ - საბჭოს სხდომა ფორმდება ოქმის სახით.

გ - სხდომის ოქმს ხელისმოწერით ადასტურებს თავჯდომარე და მდივანი.

დ - საბჭოს სხდომაზე ხდება დამსწრეთა რეგისტრაცია.

ე - საბჭოს გადაწყვეტილება კანონიერის თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი და გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობა ხმების თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავჯდომარის ხმა.

ვ - საბჭოს სხდომა ფორმდება ოქმის სახით.

ზ - საბჭო იღებს გადაწყვეტილებას რომელიც სარეკომენდაციოო ხასიათისაა.